დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ვაშა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ია ქურიძე
წევრ(ებ)ი:
თამარ მშვიდობაძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229319181

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. დუშეთი
ფაქტობრივი მისამართი	დავითაღმაშენებლის ქ.N57
საფოსტო ინდექსი	1800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1364?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Dusheti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0346221756

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 აგვისტოს ბრძანება N9 25 0001019736
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 23 და 24 სექტემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 23 და 24 სექტემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის N1 საჯარო სკოლაში (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება). ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტამდე გაეცნო სკოლის მიერ წინასწარ წარმოდგენილ საბაზისო დოკუმენტაციას. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გაეცნო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მატერიალური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის პროცესში ექსპერტები კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ სკოლის წარმომადგენლებთან და განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის სხვა წევრებთან).

ექსპერტთა მიერ განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერება, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვა და იმ დოკუმენტაციისა და სკოლის პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა, რამაც საშულება მისცა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებულიყო სტანდარტები და სტანდარტის ცალკეული კომპონენტის/ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა და შეფასდა სკოლის შესახებ პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში შედგენილი დასკვნით გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
500 მოსწავლე **შენიშვნა:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N0230001166754 გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 500 მოსწავლით, თუმცა სკოლამ წარმოდგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 01 მარტის N4 24 0000246902 წერილი, რომლის თანახმადაც **მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაიზარდა კიდევ 46 მოსწავლით.**	**515 მოსწავლე**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, კერძოდ 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. ხოლო 3.1.1.1, 3.1.1.2, 3.1.2.1, 3.1.2.3, 3.3.1.1, 3.4.1.2, 3.4.1.2, 3.4.1.5, 4.2.4.1 ინდიკატორებთან მიმართებით, ასევე, წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით:

კონკრეტული ინდიკატორები (მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.1.1, 3.1.1.2, 3.1.2.1, 3.1.2.3, 3.3.1.1, 3.4.1.2, 3.4.1.2, 3.4.1.5, და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - 4.2.4.1), რომლებიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფსადა როგორც ,,შეესაბამება", ხოლო ინდიკატორი 3.1.2.4 - შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება", ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 12 თვისა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 05 სექტემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური აღზრდა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკას მასწავლებლების დასაქმება.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებში მითითებულია ,,არსებული რესურსები'' და არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ რას მოიაზრებს სკოლა არსებულ რესურსებში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რესურსებში დააკონკრეტოს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური ან/და მატერიალური ან/და ფიანსური რესურსი და აღნიშნული რესურსების შინაარსი.
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	**სკოლას მიეცა რჩევა,** მეთოდოლოგიურ დოკუმენტში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა განსაზღვროს, წელიწადში ორჯერ მაინც, რათა იმავე სასწავლო წელს, დროულად იქნას იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები, განხორციელდეს სათანადო რეაგირება და მონიტორინგი იყოს ეფექტური.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**სკოლას მიეცა რჩევა,** გრაფიკული სტრუქტურა (ორგანოგრამა) დაამტკიცოს შიდა აქტით და გახადოს დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი.
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა,** გამოიყენოს პერსონალის საჭიროებები დადგენის უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, რომელიც მიემართება სრულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს უფრო კონკრეტული აქტივობების გეგმა, აქტივობების შინაარსი, რომელიც იქნება გაწერილი დროში, განსაზღვრული იქნება პასუხისმგებელი პირები და განხორციელების რესურსები.
ინდიკატორი N3.2.1.5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები	**სკოლას მიეცა რჩევა,** შიდა რეგულაციის სახით გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების მექანიზმი, ინიციატივების განხორციელების პროცესის ხელშემწყობი პასუხისმგებელი პირები და აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** დანიშნოს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატის ან დიპლომის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	**სკოლას მიეცა რჩევა,** ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის

		(კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით" განსაზღვრული სამედიცინო პერსონალის რეკომენდირებული რაოდენობის გათვალისწინებით, დამატებით დაასაქმოს ექთანი.
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	**სკოლას მიეცა რჩევა,** 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მოთხოვნათა შესაბამისად, განსაზღვროს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც დაეხმარებიან სკოლის მანდატურებს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში.
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	**სკოლას მიეცა რჩევა,** გაითვალისწინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის No01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინით (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში") დადგენილი რეკომენდაცია და უზრუნველყოს საპირფარეშეოების რაოდენობის გაზრდა.
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შესამოწმებლად პერიოდულად აწარმოოს გამოკითხვა (შესაძლოა ანონიმური), ხოლო პროცესზე დაკვირვების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, განახორციელოს დაკვირვების ფორმების შემუშავება, ხოლო მიღებული შედეგების და ანალიზის დოკუმენტირება, რაც საშუალებას მისცემს მას შეაფასოს უსაფრთხოების მექანიზმების

		ფუნქციონირების ეფექტურობა და უზრუნველყოს დროული რეაგირება.
ინდიკატორი N3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშაოს სკოლის რესურსებით სარგებლობის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული რესურსებით სარგებლობის პირობები, მოვალეობები, სარგებლობის განრიგი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები (მაგ: სპორტული მოედნით, სპორტული დარბაზით, კომპიუტერული ტექნიკით თავისუფალ დროს სარგებლობის პირობები, უსაფრთხოდ სარგებლობის წესები, უფლებები-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები).
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**სკოლას მიეცა რჩევა,** სკოლის ბიბლიოთეკა გაამდიდროს საკითხავი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის მოსწავლეებისთვის საინტერესო ლიტერატურის სკოლის შენობაში ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი N3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**სკოლას მიეცა რჩევა,** სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობისა და მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს უფრო დეტალური შიდა რეგულაცია და დაარეგულიროს ტექნიკით სარგებლობის პირობები (სარგებლობის მიზნების, უსაფრთხოების ზომების, მოსარგებლის უფლებებისა და მოვალეობების, პასუხისმგებლობის ფორმების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მითითებით).
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ	**სკოლას მიეცა რჩევა,** შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის შიდა წესი, რომლითაც დაარეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, ვის მიერ

	გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	და რა პროცედურით ხორციელდება სწორი და დროული ინფორმაციის განთავსება, ვინ არის ინფორმაციის სადნოობაზე პასუხისმგებელი პირი, ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	**სკოლას მიეცა რჩევა,** პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა და შედეგების ანალიზის დოკუმენტირება. ასევე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადამდე: ა/წლის 7 სექტემბრამდე	შესრულდა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა დადაწესებულების მიერ დადგენილიპირობების შესაბამისად	სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურის გაწერა სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09 . 2023–დეკემბერი.2023	შესრულდა
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილისაჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების განვითარებასთან აქტივობების შემუშავება დაკავშირებული ასახვის მექანიზმის სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის	შესრულდა

		გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09 . 2023–დეკემბერი.2023).	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლისტერიტორიაზე ფიზიკურიუსაფრთხოებისდაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ მოახდინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება სააგენტოს წარმომადგენლების განმეორებით სკოლაში მოწვევა შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.ზემოთაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მოახდინოს სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24,.06 . 2023 დეკემბერი.2023);	შესრულდა
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას დაკომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	აღნიშნულმა დაწესებულებამ უზრუნველყოსვებ გვერდის ადმინისტრატორის განსაზღვრა და განახორციელოს შესაბამისი ვებ გვერდის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება სკოლის მიერშემუშავებულ შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის	შესრულდა

		გეგმით განსაზღვრულვადებში (01.09 . 2023 ნოემბერი 2023).	
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეცახორციელებსსწავლებას;	აღნიშნულმა დაწესებულებამ უზრუნველყოსვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ქართულ ენაზე ასახვა სკოლისმიერ შემუშავებულ შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09 . 2023 ნოემბერი 2023).	შესრულდა
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებიდამისანიჭებელიკვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელიდოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდზე განთავსებული სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვა სკოლისმიერ შემუშავებულ შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.09 . 2023 ნოემბერი 2023).	შესრულდა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა მისია და ხედვა, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიასა და ხედვაში და ნათლად ჩანს სკოლის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რაც ეფუძნება ხარისხიანი განათლების ხელშეწყობას, ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნას და ახალგაზრდების მომზადებას კონკურენტულ გარემოში რეალიზებისთვის.

ხედვა განსაკუთრებით უსვამს ხაზს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას გაცხადებული მისიითა და ხედვით გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების წინაშე. სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნა სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრორიტეტია. სკოლაში შექმნილია დაცული და კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც ეფუძნება პატივისცემას, თანამშრომლობასა და მხარდაჭერას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მისი ფუნდამენტური როლი. სკოლა ზრუნავს მოსწავლეებს მისცეს სათანადო ცოდნა, განუვითაროს ყველა საჭირო უნარ-ჩვევა, რომელიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელი ცხოვრების გზის გაკვალვასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით ,,მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", რომელშიც ასახულია მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესები. სასკოლო დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად იკვეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სწორედ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. სკოლამ დააკომპლექტა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა სკოლის პრიორიტეტები. სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სკოლის პერსონალი, მოსწავლეები და მშობლებიც იღებდნენ მონაწილეობას და მათ დეტალურად აღწერეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი. სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები წარუდგინა სკოლის დირექტორს, რომელიც განხილულ იქნა პედაგოგებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების მიერაც.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება უზრუნველყოფილია მისი შემუშავების პროცესის დაწყებისთანავე და გრძელდებოდა საბოლოო სახით ფორმულირებამდე. აღნიშნული დასტურდება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით, შემდგომში კი პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე განხილვით. ის, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირების პროცესში მონაწილეობა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი და მოხდა მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება, მიუთითებს იმას, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს მათ. გარდა ამისა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით,

გამოკრულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე/კედელზე. ვიზიტის დროს მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოება იცნობდა და იზიარებდა სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. გარდა ამისა, დამატებით, თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის შესასვლელში საინფორმაციო დაფაზე/კედელზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით, აღნიშნული სკოლა დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინს – ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის N1 საჯარო სკოლა. განსაზღვრულია სკოლა ატარებს ვაჟა-ფშაველას სახელს, რაც შეესაბამება სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებას „საჯარო სკოლებისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (რომელშიც გაცხადებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026წ;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წწ;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სამუშაო ჯგუფის, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც ადგენს მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული დოკუმენტში სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები, მკაფიოდაა განსაზღვრული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფორმირებისას დასაძლევი ეტაპები და განსახორციელებელი ღონისძიებები. ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, რომლის ფარგლებშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სკოლის თანამშრომელთა, ისე დაინტერესებული პირების გამოკითხვას, მათი დამოკიდებულებებისა და საჭიროებების დაზუსტებას. მიღებული ანალიზის საფუძველზე სკოლა ახდენს მის წინაშე არსებული რისკებისა და საფრთხეების, ასევე ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. შედეგად, განისაზღვრა სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც აისახა სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და ამოცანებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2023-2030). მისი შინაარსით დგინდება, რომ იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, არის ციკლური, ვინაიდან არის 7 წლიანი და მისი გადახედვა ხდება აღნიშნული ციკლის დასრულების შემდეგ, რაც ასევე გაწერილია მეთოდოლოგიურ დოკუმენტში.

სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს. დოკუმენტი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალური, ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და გამოწვევები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტარტეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმა ეფუძნება გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშს და SWOT ანალიზს, რომლის შედეგების მიხედვითაც არის შემუშავებული კონკრეტული წლის აქტივობები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ ვიზიტის დროისათვის წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის აქტივობები გაწერილია არსებული შვიდწლიანი სტარატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები შესრულების გაზომვადი იდიკატორებით, მითითებულია თითოეული აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები. ასევე, მითითებულია აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები და განსაზღვრულია შესრულების ვადები. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების შესრულება რეალისტურია.

<u>ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებში მითითებულია „არსებული რესურსები" და არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ რას მოიაზრებს სკოლა არსებულ რესურსებში.</u>

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** რესურსებში დააკონკრეტოს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური ან/და მატერიალური ან/და ფიანსური რესურსი და აღნიშნული რესურსების შინაარსი.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წწ
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის " სახელწოდებით წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განახორციელების წესი. კერძოდ, სკოლაში იქმნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საკუთარი სამოქმედო გეგმის საფუძველზე განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებისთვის საჭირო საქმიანობას.
დოკუმენტი აღწერს მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმასა და ჯგუფის ფუნქციებს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში სკოლა ახორციელებს მონაცემების შეგროვებას. შეფასების შემდგომ კი ხორციელდება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ *სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და შეფასებას წელიწადში ერთხელ - სასწავლო წლის ბოლოს,* ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის

მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** მეთოდოლოგიურ დოკუმენტში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა განსაზღვროს, წელიწადში ორჯერ მაინც, რათა იმავე სასწავლო წელს, დროულად იქნას იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები, განხორციელდეს სათანადო რეაგირება და მონიტორინგი იყოს ეფექტური.</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშც არიან დირექციის წარმომადგენელი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლე და მშობელი. აღნიშნულმა ჯგუფმა მოისმინა პასუხისმგებელი პირების ანგარიშები და შეადგინა შესაბამისი ოქმი. აღნიშნული პროცესი განხორციელდა მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად. მონიტორინგის შედეგების გათვალისიწნებით განხორციელდა სიტუაციური ანალიზი, შეიქმნა SWOT ანალიზი და შედეგები გათვალისწინებულ იქნა მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმის სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ანგარიშის სახით გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის ანგარიშს, აღნიშნულის მონიტორინგის ვადები სკოლაში განხორციელებული ვიზიტის დროს არ იყო დამდგარი.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გაანალიზების ამსახველი დოკუმენტი. სკოლის ყოველწლიური პრაქტიკაა დირექტორის ანგარიშის, კათედრის სხდომებზე გაანალიზებული საკითხების, მშობელთა კრების ოქმებიდან მიღებული უკუკავშირებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებში გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინება. ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საკითხები გათვალისწინებულ იქნა შემდგომი 2025-2026 სამოქმედო გეგმის შედგენისას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა (ორგანოგრამა), რომელიც განთავსებულია საჯაროდ, სკოლის ვებ-გვერდზე და მასში ასახულია როგორც საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციები, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულები. <u>**სკოლას მიეცა რჩევა,** გრაფიკული სტრუქტურა (ორგანოგრამა) დაამტკიცოს შიდა აქტით და გახადოს დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი.</u>

სტრუქტურით გათვალისწინებული პირების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები აღწერილია დოკუმენტში ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები''. თანამშრომელთა ფუნქციები ასევე გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლებიც შესაბამისობაშია ფუნქციების აღმწერ დოკუმენტთან.
სასწავლო წლის განმავლობაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხორციელდება გარკვეული უფლება მოვალეობები დელეგირება დასაქმებულ პირებსა თუ სხვადასხვა მიზნით დაკომპლექტებულ ჯგუფებზე, მაგალითად როგორიცაა დირექტორის მოადგილე, სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, საკონკურსო კომისია და სხვა. დამრიგებლების ფუნქციები გაწერილია დამრიგებლის დებულებაში. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, პასუხისმგებელი პირების განსზღვრულია მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად.
ფუნქციებთან ერთად, აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია ანგარიშვალდებულების და დაქვემდებარების სისტემა. ასევე, კონკრეტული პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, უფლებამოსილებელის დელეგირება და ფუნქციების სხვა თანამშრომლის

მიერ შესრულება. დოკუმენტში გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ'' კანონსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით განსაზღვრულ ,,საჯარო სკოლის წესდებას''.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული. კერძოდ:

- *სკოლის გრაფიკულ სტრუქტურაში ასახული იყო ისეთი სტრუქტურული ერთეულები (მრჩეველთა საბჭო, სააპელაციო კომიტეტი, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი), რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სკოლის შიდა დოკუმენტით ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები'' (შემდგომში - ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი).*
- *ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით განსაზღვრული იყო მუშის ფუნქციები, თუმცა აღნიშნული პოზიცია არ იყო გათვალისწინებული სკოლის გრაფიკული სტრუქტურით.*
- *ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტით ვებ გვერდის მუშაობაზე, საჭირო ინფორმაციით შევსებაზე და ფეისბუქ გვერდის მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა საინფორმაციო მენეჯერს (იგივე IT სპეციალისტი), ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საინფორმაციო მენეჯერის ფუნქციების დროებით შემსრულებლად უნდა განსაზღვრულიყო სკოლის საქმისმწარმოებელი. როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, სკოლის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად დირექტორის ბრძანებით დროებით განსაზღვრული იყო დირექტორის მოადგილე. შესაბამისად, აღნიშნული სამი პოზიციის მიხედვით შესასრულებელი კონკრეტული ფუნქცია ფარავდა ერთმანეთს და არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული თუ ვის ევალებოდა მისი შესრულება.*
- *მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თავფურცელზე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე სწორად იყო მითითებულია მათ დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირები, აღნიშნული არ ემთხვეოდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილ უფლბამოსილებებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-8 თავის მე-16 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდებოდა სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული ფუნქცია არ იყო სწორად გაწერილი, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების" მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დირექტორის მიერ დასამტკიცებლად წარედინება სამეურვეო საბჭოს.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, განმარტებითი ბარათი და დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა განახლებული სტრუქტურული სქემა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

- ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სტრუქტურული სქემა და ფუნქციების აღმწერი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლის ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით დაზუსტდა ექიმის და საინფორმაციო მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში დროებით ფუნქციების შემსრულებელი;
- ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში გაიმიჯნა ვებ -გვერდის ადმინისტრირებზე პასუხისმგებელი პირი;
- შეტანილ იქნა ცვლილება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში, რომლითაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილ ერთეულად განისაზღვრა სკოლის სამეურვეო საბჭო.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლების ფუნქციებთანაც თავსებადია სამოქმედო გეგმით დაკისრებული პასუხისმგებლობები. თუმცა, ექპსერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით და *3.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე შეფასდა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება ხელს ვერ შეუწყობდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევას, ვინაიდან მათი გადანაწლება არ იყო სრულყოფილი და სკოლის შიდა რეგულაციებთან და კანონთან შესაბამისი.*

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია, რომლის შესწავლითაც დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის შესასრულებელი ფუნქციები გადანაწილებულია

იმგვარად, რომ არ ფარავს ერთმანეთს, დაკისრებული ფუნქციები უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებას და საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებას.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა (ორგანოგრამა);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- სხვადასხვა ფუნქციის დაკისრების შესახებ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- კათედრის დებულება;
- დამრიგებლის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრისა და ანალიზის, დასაქმების პოლიტიკის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, გადამზადების განვითარების, შეფასების, მოტივაციის და წახალისების, პერსონალის უსაფრთხოების, შიდა კომუნიკაციის, უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის სამსახურში მიღების წესებს. აარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავდაწ ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

ა) ორგანიზება/დაგეგმვა;

ბ) ორგანიზაციაში შემოსვლა;

გ) სამუშაოს მართვა;

დ) ორგანიზაციიდან გასვლა.

სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეესაბამება შრომის კოდექსს და მოიცავს როგორც შრომითი ურთიერთობების რეგულაციას, ასევე შრომის დისციპლინისა და წახალისების პრინციპებს. თანამშრომელთა მართვა ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტებისა და შრომის კოდექსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ექპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, რაც შეუსაბამო იყო *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებასთან ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ და ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონთან, რომლის თანახმადაც, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ხოლო დასამტკიცებლად წარადგენს სკოლის დირექტორი.*

სკოლის 2023 წელს დამტკიცებული შინაგანაწესით განსაზღვრული იყო, რომ მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომლის მიღება ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით, კანდიდატთან გასაუბრების გზით. ასევე, შესაძლოა განხორციელდეს კონკურსის გზითაც. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე წარმოდგენილი, 2023 წელს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით კი იმპერატიულად იყო განსაზღვრული, რომ პერსონალის სამსახურში მიღება უნდა განხორციელებულიყო კონკურსით. აღნიშნული რეგულაცია ეხებოდა სრულ პერსონალს და არ აწესებდა გამონაკლისს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან მიმართებით. სკოლას აღნიშნული რეგულაციის დამტკიცების შემდგომ სამსახურში მიღებული ჰყავდა ადმინისტრაციული პერსონალი, თუმცა არა კონკურსის გზით, არამედ გასაუბრების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შინაგანაწესის ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა როგორც ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით დადგენილ კონკურსის წესს, ასევე, მოქმედ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც განსზღვრავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და სამედიცინო პერსონალის კონკურსის წესით მიღების ვალდებულებას.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია და განმარტებითი ბართი, რომლითაც განმარტა, რომ:

- ***სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა უფლებამოსილი ორგანოს (სამეურვეო საბჭოს) მიერ.***
- ***სკოლის შინაგანაწესი (2025 წელს დამტკიცებული) შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.***
- ***რაც შეეხება კონკურსის წესით პერსონალის დასაქმებას, ვინაიდან მასწავლებლის დასაქმების წესი და პირობები დადგენილია კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სხვა პერსონალის არა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოხსენიებულ „პერსონალში'' სკოლა მოიაზრებდა მხოლოდ მასწავლებლებს.***

სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული, განახლებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსის მართვის პრინციპებსა და პოლიტიკას, პერსონალის სამსახურში მიღების წესსა და პროცედურას და მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>იდნიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრისა და ანალიზის რეგულაციები, კერძოდ, თუ როგორ ხორციელდება სკოლის მიერ ახალი საშტატო ერთეულის საჭიროების დადგენა, საჭიროების წინაპირობები, გასატარებელი ზომები. პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შენარჩუნების გზებსაც, როგორიცაა მოტივაცია და წახალისება. აღნიშნული წარმოადგენს სკოლის პრევენციული მართვის პოლიტიკას.

გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია სამსახურში გამოუცხადებლობისას დირექციის გაფრთხილების წესი, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით განსაზღვრულია ფუნქციის შესრულება სხვა დასაქმებული პირების მიერ, სკოლას აქვს საათების დროებით გადანაწილების და შემცვლელი მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს სკოლის ინტერვენციულ პოლიტიკას.
დასაქმებულთა სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და უკუკავშირის მიცემის სკოლაში არსებული პრაქტიკა ემსახურება პრევენციული და ინტერვენციული პრაქტიკის განხორციელებას, იმისათვის, რომ არ მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის შეფერხება.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავდა პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურებს. პოლიტიკა ითვალისწინებდა სკოლის პერსონალის

სამსახურში მიღებას კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. განსაზღვრული იყო, რომ პერსონალის შერჩევის მიზნით სკოლაში დირექტორის გადაწყვეტილებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატთა შესარჩევად კონკურსის ჩატარებას სამართლიანობის, საჯაროობისა და კონკურსის გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კონკურსის ჩატარების წესი აგრეთვე განსაზღვრული იყო საგნის ვაკანტური საათების შესავსებად 2024 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესით.

ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული იყო, რომ კონკურსის წესით არჩეულ სკოლის პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით და იხსნება პირადი საქმე. სკოლას თანამშრომლებთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები და გახსნილი იყო პირადი საქმეები.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, კონკურსის ჩატარების თაობაზე სკოლაში მოქმედი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები არ იყო შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან", კერძოდ, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებასთან და კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით. ასევე, საფუძველში მითითებული იყო საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა", რომელიც აღარ იყო კონკურსის დამტკიცების დროს მოქმედი ნორმატიული აქტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ მასწავლებლის შესარჩევად დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის N2-77 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია არ იყო დაკომპლექტებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებული სავალდებულო წევრებით: დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.

პირადი საქმეების და შრომითი ხელშეკრულებების დეტალური შესწავლით დადგინდა, რომ *მასწავლებლებთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებები არ მოიცავდა ამავე წესით გათვალისწინებულ მინიმუმ 4 ფუნქციას. მასწავლებლების ხელშეკრულებებში, შრომის ანაზღაურების პირობების მუხლში მითითებული იყო ძალადაკარგული ნორმატიული აქტი.*
ასევე დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა გახსნილი პირადი საქმე ორ ახალ მასწავლებელზე და ვერ შემოწმდა პირად საქმეში განთავსებული სავალდებულო დოკუმენტაცია. გარდა ამისა, ყველა მასწავლებელს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობები (3 ცნობა), რომელთა წარმოდგენაც სავალდებულოა ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები. პოლიტიკის დოკუმენტი არ ითვალისწინებდა სავალდებულო ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენის ვალდებულებას.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია და განმარტებითი ბართი, რომლითაც დგინდება რომ:

- **სკოლამ გამოაცხადა კონკურსები, რომლის მარეგულირებელი ბრძანებები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან;**
- **პედაგოგებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს;**
- **სკოლამ ორ ახალ თანამშრომელზე გახსნა პირადი საქმე, ასევე, წარმოადგინა იმ მასწავლებლების ცნობები, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე;**
- **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დაზუსტდა ნასამართლეობის სავალდებულო ცნობების წარმოდგენის ვალდებულება.**

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია შემდეგი პოზიციების შესაბამისი კადრები (სულ 56 თანამშრომელი): დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ცეცხლფარეში, დამლაგებელი, დარაჯი, მუშა, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი (პრაქტიკოსი), სსსმ პირის ასისტენტი), მასწავლებლები (უფროსი, წამყვანი, მოწვეული, შემცვლელი). დღის დარაჯად სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 1 პირი.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სკოლაში დასაქმებული თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შიდა რეგულაციები. დირექტორის, მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, შესწავლილ იქნა პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, ფიზიკურ აღზრდა და სპორტს, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებას და მუსიკას ასწავლიდნენ მასწავლებლები (7 მასწავლებელი), რომლებსაც, თავიანთი კვალიფიკაციების მიხედვით, არ ჰქონდათ აღნიშნული საგნების სწავლების უფლება.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 21.10.2025-05.09.2026 პერიოდი, ხოლო ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობად განსაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელების კონკურსის გზით დასაქმება. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ვაკანტურ საათებზე გამოაცხადა კონკურსი.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ,,მეტწილად დაკმაყოფილებულია".</u>

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპები როგორც შიდა რეგულაციების დონეზე, ასევე პრაქტიკულად განხორციელების კუთხით. სკოლის თანამშრომლები სამუშაო პროცესში ეხმარებიან ერთმანეთს. მასწავლებლები გაერთიანებულები არიან კათედრებზე, სადაც იკრიბებიან და მუშაობენ გუნდურად, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ახალ მასწავლებლებს ეხმარებიან სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციაში. აღნიშნული დასტურდება კათედრების და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმებით. დირექციის წარმომადგენლები სხვა თანამშრომლებთან ერთად გეგმავენ გამოწვევებთან გამკლავების გადაჭრის გზებს. გუნდური მუშაობის პრინციპები ნათლად არის წარმოჩენილი სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის ფორმატში სამუშაოს შესრულების დროს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის მოტივირებისა და წახალისების მექანიზმების არსებობას, რაც წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმია. აღნიშნული პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს მოტივაციის გაზრდის მიზნით განსაზღვრული წახალისების ფორმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემია და სხვა.

სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ პერსონალის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი და ეფექტური მეთოდია შეფასებისა და წახალისების სამართლიანი და ობიექტური სისტემის შექმნა, რაც თავის მხრივ განაპირობებს პერსონალის სათანადო მოტივაციასა და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებში მათ უფრო აქტიურ ჩართვას.

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა ფულადი წახალისების საშუალებას, მაგრამ მიმართავენ სხვა ფორმებს, როგორიცაა მადლობის გამოცხადება და სიგელის გადაცემა. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების საჯაროდ გაზიარების პრაქტიკაც. სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი პედაგოგიური საბჭოსმიერ წარდგენილ იქნა ღირსების ორდენზე. პედაგოგების შეხვედრაზე ხდება კონკრეტული მასწავლებლის მიერ მიღწეული

წარმატებისა და შედეგიანი სამუშაოს კოლეგებთან გაზიარება. USAID- ის ტრენინგების გავლის შემდეგ, მასწავლებლებმა გამოცდილება გაუზიარეს კოლეგებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომლეთა ბაზა (eschool.esmis.ge-დან პორტირებული);
- სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმები, როგორიცაა პერსონალის გადამზადება, განვითარება და შეფასება.
პროფესიული განვითარების მიზნის მისაღწევად, სკოლას გათვალისწინებული აქვს შემდეგი ღონისძიებები:
ა) ტრენინგების ჩატარება სკოლის პერსონალისათვის;
ბ) სტაჟირება;
გ) ხარისხის მართვის ჯგუფის მხრიდან მხარდაჭერა და საგნობრივ კათედრებს შორის თანამშრომლობა;
დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი კონფერენციების ორგანიზება;
ე) ადგილობრივ და სხვა საერთაშორიო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
ვ) კვლევების ჩატარება.
ზ) სკოლის ფარგლებში პერსონალის ფუნქციების განახლება, სამუშაო დატვირთვის შეცვლა, ახალი მოვალეობების დაკისრება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა.
საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები წელიწადში ერთხელ (ყოველი კალენდარული წლის ბოლოს) უზრუნველყოფენ მიმდინარე ან/და შესრულებული სამუშაოების შეფასებას ანგარიშის სახით.

საგნობრივი კათედრები, კლასის დამრიგებლები ანგარიშს წარუდგენენ დირექტორის მოადგილეს, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი და ადმინისტრაცია - სკოლის დირექტორს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების დადგენის და პროფესიული განვითარებისთვისთვის საჭირო ღონისძიებების მექანიზმებს, რომლებიც სკოლამ პრაქტიკაშიც დანერგა. გასულ წელს, ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესზე დაკვირვების შედეგად, მოწვეულ იქნა კომპეტენტური პირი, რომელიც ახალ თანამშრომელს დაეხმარა ტექნიკურ საკითხებსა და სამუშაო პრინციპებში გარკვევაში (eflow, eschool სისტემები). სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული თანამშრომლის საქმიანობაზე დაკვირვების გეგმა, რომლის შესაბამისადაც წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემოწმდა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

სკოლას შემუშავებული აქვს როგორც თანამშრომლის შეფასების, ასევე თვითშეფასების ფორმები. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების შეფასება აღნიშნული ფორმების მიხედვით და მისი ანალიზი. შეფასების შედეგად დაიგეგმა საკორექციო სამუშაოები და განხორციელდა განმეორებითი შეფასება, რითაც დაადგინა პროგრესი. საჭიროებები დადგენის მიზნით სკოლაში, ასევე, ხორციელდება პროფესიული განვითარების და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრების საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შეფასება და შემდგომი მხარდაჭერა, საგნობრივი კათედრების ფარგლებში მხარდაჭერა.

სკოლას პროფესიული განვითარების კუთხით დაგეგმილი აქვს აქტივობები, რომლებიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პროფესიული განვითარების კუთხით ერთწლიან გეგმაში მოცემული აქტივობები ატარებს ზოგად და მასშტაბურ ხასიათს და ემსახურება სტრატეგიული გეგმის ამოცანების შესრულებას. მასში არ ჩანს სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებული პირების შეფასების შედეგების და საჭიროებების მიხედვით დასახული კონკრეტული ღონისძიებები.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** გამოიყენოს პერსონალის საჭიროებები დადგენის უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, რომელიც მიემართება სრულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს უფრო კონკრეტული აქტივობების გეგმა, აქტივობების შინაარსი, რომელიც იქნება გაწერილი დროში, განსაზღვრული იქნება პასუხისმგებელი პირები და განხორციელების რესურსები.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სკოლა მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ მექანიზმს როგორიცაა კათედრის წევრების ურთიერთშეფასება და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ჯგუფის მხარდაჭერა. კარიერული ზრდის აქტივობების განხორციელება თანამშრომლებისთვის ნებაყოფლობითია. გასული წლების პრაქტიკით, სკოლაში უფროსი და წამყვანი მასწავლებლების სტატუსი მოიპოვა/აიმაღლა არაერთმა მასწავლებელმა. სკოლას არ აქვს მასწავლებლობის მაძიებელთან ტუტორის მუშაობის პრაქტიკა, ვინაიდან არასოდეს ჰყოლია დასაქმებული მასწავლებლობის მაძიებელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას აღიარებული და გააზრებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან მარტივად ადაპტაციის პრინციპები. მასწავლებლებს სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციაში ეხმარებიან როგორც ადმინისტრაციის, ასევე, კათედრის წევრები. პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სხდომებზე ხორციელდება ახალი მასწავლებლის გაცნობა.

სკოლას ახალ თანამშრომლის სკოლაში სოციალიზაციის პრინციპი გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში და ხელს უწყობს ახალი დასაქმებულების სწრაფ ადაპტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის დირექცია ღიაა თანამშრომლების მხრიდან ინიციატივების მიღებისა და მხარდაჭერის კუთხით. თანამშრომლების პროფესიული განვითარების საჭიროების თაობაზე ინიციატივის დაყენება ხორციელდება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, მოადგილის შეფასების საფუძველზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლემა დააფიქსირეს, რომ ისინი დირექციას კონკრეტული ინიციატივით მიმართავენ ზეპირსიტყვიერად და მათი ინციატივები მხარდაჭერილია სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში. პროფესიული განვითარების კუთხით ინიციატივების მხარდაჭერის შედეგად სკოლის არაერთმა მასწავლებელმა მოიპოვა/აიმაღლა სტატუსი.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>შიდა რეგულაციის სახით გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების მექანიზმი, ინიციატივების განხორციელების პროცესის ხელშემწყობი პასუხისმგებელი პირები და აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გამოკითხვის ფორმები;
- განხორციელებული კვლევების ანალიზი;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე სკოლას განხორციელებული აქვს swot ანალიზი, გაანალიზებული აქვს ძლიერი და სუსტი ხარეები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, რომლის შესაბამისადაც, სკოლაში ხორციელდებოდა დამრიგებლების, კათედრების, დირექტორის მოადგილის მხრიდან სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშების წარდგენა. სკოლას ასევე განსაზღვრული ჰქონდა გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს ავტორიზაციის პროცესში მიღებულ შეფასებებზე რეაგირებას. სკოლას გათვალისწინებული აქვს 2023 წლის ავტორიზაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.

დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული ხარისხის მართვის უზრუნველსაყოფად საჭირო მთელი რიგი პროცესები, კერძოდ, ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული იყო, რომ ხარისხის მართვა არის სკოლის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობა და არ იყო განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები, სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი, გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, შედეგების შეფასების განხორციელების პროცესი, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის პროცესი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელების პროცესი.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები/სტრქტურული ერთეულები,

სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი საქმიანობების შესაბამისად აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ის პროცესი, რომლებიც საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განსახორციელებლად.
შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტით, სკოლას მმართველობით პროცესად იდენტიფიცირებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. სკოლაში პრაქტიკულად ხორციელდება ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, რომლებიც აღწერილია ცალკეულ მარეგულირებელ შიდა დოკუმენტაციაში, როგორიცაა საქმისწარმოების წესი, მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები, ბიბლიოთეკის მუშაობის შიდა დებულება და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში ჩამოთვლილია სკოლაში მიმდინარე პროცესები, რომელებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფას.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადების და საჩივრის განხილვის შიდა პროცედურა, რომელიც მოიცავს განცხადების და საჩივრის განხილვის პროცედურას, განხილვის ვადას. საჩივრების განხილვა ხდება დირექტორის მიერ, ხოლო დირექტორის მიმართ დაფიქსირებული საჩივრის - სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინასთან დაკავშირებული შემთხვევების განხილვის პროცედურა. სკოლას აქვს საჩივრის განხილვის პრაქტიკაც, რომელიც ეხებოდა დისციპლინურ გადაცდომას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქარტველოს კანონით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის/მშობლის და პერსონალის უფლბებები გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. უფლებების რეალიზების გარანტიას ასევე წარმოადგენს სკოლაში მოქმედი არაერთი შიდა რეგულაცია, როგორიც არის მოსწავლის ადაპტაციის წესი, პერსონალუ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, საჩივრის და განცხადების განხილვის წესი და სხვა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობას და არის არადისკრიმინაციული. სკოლა შიდა რეგულაციებს აცნობს სასკოლო საზოგადოებას სხვადასხვა გზით. შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი დადასტურებულია ხელმოწერით, ასევე შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია საჯაროდ არის განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია მათი ხელმისაწვდომობა. ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა დააფიქსირეს, რომ მათი უფლებები სკოლაში დაცულია.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;
- პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მათთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებზე, ასევე მათი გამოკითხვების მეშვეობით. სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია ყოველთვის რეაგირებს მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს, საინფორმაციო დაფას. სკოლის სოციალური ქსელი და ელექტრონული ფოსტა, თანამშრომლების შემთხვევაში ასევე eflow-ს სისტემა იძლევა ადმინისტრაციასთან პირადი კომუნიკაციის საშუალებასაც.
ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა განაცხადეს, რომ ინფორმაციას იღებენ დირექციისგან, სკოლის სოციალური ქსელიდან და სკოლის ვებ-გვერდიდან. მშობლები ასევე ინფორმაციას იღებენ კლასების დამრიგებლებისგან, ელექტრონული ჟურნალიდან. დამრიგებლებთან და მასწავლებლებთან იმართება ინდივიდუალური შეხვედრებიც. დამრიგებლების მხრიდან მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირების, ასევე მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დირექციამდე მიტანის ვალდებულება დამრიგებლებს ეკისრებათ დამრიგებლის დებულებითაც.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ შესაძლებლობა პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. მოსწავლეები ირჩევენ და არჩეულები არიან შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობაში. ასევე, მოსწავლე, მშობლები და მასწავლებელი მონაწილეობას იღებენ სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში, შედიან დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში. პედაგოგეი გაერთიანებულები არიან საგნობრივ კათედრებში, შედიან პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში.
სკოლის ადმინისტრაციამ და მშობლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობას იღებენ სკოლის ღონისძიებებში და აქტივობებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის ელექტრტონული ფოსტა;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა და მათი ოქმები;
- დამრიგებლის დებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას სხვადასხვა გზით. შენობაში გარეშე პირთა გადაადგილება კონტროლდება დღის დარაჯის მიერ. ასევე, ღამის ცვლაში დასაქმებულია 2 დარაჯი. დღის დარაჯი აკონტროლებს შესასვლელ კარს და სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს ვიზიტორებს. დარაჯის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ითავსებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

სკოლას აქვს ეზო, რომელიც შემოღობილია. დაწესებულებას ჰყავს ორი მანდატური, რომლებიც იცავენ სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო კამერები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები და უსაფრთხოების ნორმები. ასევე, განსაზღვრულია, რომ სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირების დაშვება დირექციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. განსაზღვრულია მშობელთა დაშვების დღეები და საათები.

სკოლას შემუშავებული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა. სკოლას მიმართული აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის. სკოლას აღნიშნული სამსახურის მიერ შედგენილი მიწერილობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე, რომელშიც დაფიქსირებული იყო გარკვეული ხარვეზები. სკოლამ სამინისტროს დახმარებით აღმოფხვრა

დაფიქსირებული ხარვეზები და ამის შემდეგ მიმართა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს განმეორებითი შემოწმების თაობაზე, რომელთა ვიზიტსაც ელოდება სკოლა.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** დანიშნოს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატის ან დიპლომის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოცენის მექანიზმები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია სკოლის ექიმი,რომელსაც გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით" განსაზღვრულია კვალიფიკაცია.

ვინაიდან სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა აღემატება 500-ს, სკოლას უნდა ჰყავდეს 1 ექიმი და 1 ექთანი. სკოლის საშტატო განრიგი ითვალისწინებს მხოლოდ 1 ექიმის შტატს და სკოლაში დასაქმებული არ არის ექთანი.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით'' განსაზღვრული სამედიცინო პერსონალის რეკომენდირებული რაოდენობის გათვალისწინებით, დამატებით დაასაქმოს ექთანი.</u>

სამედიცინო კაბინეტში განთავსებულია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ინვენტარის დიდი ნაწილი. *თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კაბინეტის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტი სრულად არ იყო აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. შესყიდვების დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლაში*

მედიკამენტების შესყიდვა 2023 წლის შემდეგ არ იყო განხორციელებული. ექიმი აწარმოებდა გაწეული სამედიცინო მომსახურების აღიცხვას, სპეციალურ ჟურნალში თუმცა არ აწარმოებდა კონკრეტულ პაციენტზე შესავსებ ფორმებს. ასევე, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება, რომ სამედიცინო კაბინეტი სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. ექიმი აწარმოებს საჭირო დოკუმენტაციას, მათ შორის, კონკრეტულ პაციენტზე შესავსებ ფორმებს, სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი შინაგანაწესით. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და ასევე, ფუნქციონირებს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით.

სკოლაში გამოკრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით'' განსაზღვრული ცხელი ხაზის ნომრები.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მოთხოვნათა შესაბამისად, განსაზღვროს</u>

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც დაეხმარებიან სკოლის მანდატურებს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა აწარმოებს კამპანიას ბულინგისა და კიბერ-ბულინგის საკითხებზე, ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ.
სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისი შიდა რეგულაცია. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში განიხილება შესაბამისი საკითხები, ხორციელდება პროექტები.
სკოლაში დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი - ფსიქოლოგი, რომელიც საკუთარი ინიციატივით ხვდება მოსწავლეებს, მშობლებს და მათთან განიხილავს აქტუალურ თემებს. ფსიქოლოგმა წარმოადგინა წინა სასწავლო წელს განხორციელებული სამუშაოს ანგარიში, დაკვირვების და გამოკითხვის შედეგად განხორციელებული ანალიზი, ასევე, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის No01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინის მიხედვით „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში", რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ რეკომენდაციას, ტუალეტის კაბინის კარი უნდა იკეტებოდეს შიგნიდან, თუმცა ასევე უნდა ითვალისწინებდეს გაღების შესაძლებლობას გარედან, უსაფრთხოების მიზნით. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა, რომ საპირფარეშოების კარებს არ ჰქონდა საკეტები, რის გამოც არ იყო უზრუნველყოფილი პრივატულობა და დაცულობა.
სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება, რომ საპირფარეშოების კაბინების გარებზე დამონტაჟებულია საკეტები, რითაც უზრუნველყოფილია პრივატულობა და დაცულობა.
შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დასაქმებულები არიან დამლაგებლები. მათთან გაწერილ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

სკოლას არ გააჩნია წყლის რეზერვუარი, თუმცა დირექციამ განაცხადა, რომ არ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც წყლის მიწოდება შეფერხებულა და ასეთი საჭიროება არ დამდგარა.

სკოლის შენობის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე (3/3 კაბინა). ასევე, თანამშრომლებისთვის (1-1 კაბინა სქესის შესაბამისად). ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები შშმ პირებისთვის. სკოლაში ირიცხება 500-ზე მეტი მოსწავლე და დასაქმებულია 55-ზე მეტი თანამშრომელი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის No01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინის მიხედვით ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში", მოსწავლეთა რაონოდების პროპორციულად განსაზღვრულია საპირფარეშოების რაოდენობა. შესაბამისად, იქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ საპირფარეშოები მცირე რაოდენობა არ აკმაყოფილებს მრავალრიცხოვანი სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო რესურსს.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>გაითვალისწინოს გაიდლაინით დადგენილი რეკომენდაცია და უზრუნველყოს საპირფარეშეოების რაოდენობის გაზრდა.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლების მქონე პირების წვდომას მხოლოდ მათთვის საჭირო ინფორმაციაზე, მათ პასუხისმგებლობას ინფორმაციის დაცვაზე. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც, ასევე, სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების რეგულაციებს, ხოლო დასაქმებულის დისციპლინურ გადაცდომად ითვლება პეროსნალური მონაცემების გამჟღავნება და კონფიდენციალურობის დარღვევა.

კლასის დამრიგებლები მშობლებს მოსწავლეების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას აწვდიან ინდივიდუალური შეხვედრების დრო.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც არის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული უფლებამოსილების შესახებ ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანება ოფიცრის ფუნქციების და ანგარიშვალდებულების განსაზღვრის შესახებ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (https://pdps.ge) გვერდზე ინფორმაციის გადამოწმებისას დადგინდა, რომ სკოლის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია არ იყო დაფიქსირებული შესაბამის სამსახურში. ,,პერსონალურ მონაემთა დაცვის შესახებ'' კანონის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი (სკოლა) ვალდებულია ოფიცრის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს შესაბამის სამსახურს, ოფიცრის განსაზღვრიდან 10 დღის ვადაში, რაც ქვეყნდება სამსახურის ვებ-გვერდზე.

ასევე, მშობლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ სუბიექტის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, შეადგენდა გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რაც ეწინააღმდეგება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახე'' საქართველოს ორგანულ კანონს._კერძოდ, წერილობითი თანხმობა გამოყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების ძირითადი ტექსტიდან და თანხმობის სხვა კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს თანხმობის გაცემის ნებაყოფლობითობის პრინციპი, რაც იყო დარღვეული.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია წარუდგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და განთავსებულია შესაბამისი სამსახურის (https://pdps.ge) გვერდზე. ასევე, მშობელთან გაფორმდა განახლებული ხელშეკრულებები, რითაც გასწორდა ხარვეზი მონაცემების დამუშავების თანხმობის გაცხადების ფორმასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, აქვთ ინდივიდუალური კომპიუტერები, რომლებიც

დაცულია პაროლის სისტემით. კომპიუტერებზე დაყენებულია ანტივირუსული პროგრამები, ელექტრონულ სისტემებში (eschool, eflow, ელ ფოსტა, ელ. ჟურნალი) შესვლა ხორციელდება სპეციალური მომხმარებლის პაროლებით და სახელებით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ინფორმაციული უსაფრთხოების რეგულაციები, ხოლო შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველასთავის. კლასის დამრიგებლებს ევალებათ მოსწავლეებს გააცნონ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან პერიოდულად ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების კონტროლი. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხებით დასტურდება სკოლის მხრიდან უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე მეთვალყურეობა, მდგომარეობის შეფასება და გაუმჯობესების გზების დასახვა. სასკოლო საზოგადოებსი წევრებმა გასაუბრების დროს დააფიქსირეს, რომ სკოლაში დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. <u>**სკოლას მიეცა რჩევა,** უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შესამოწმებლად პერიოდულად აწარმოოს გამოკითხვა (შესაძლოა ანონიმური), ხოლო პროცესზე დაკვირვების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, განახორციელოს დაკვირვების ფორმების შემუშავება, ხოლო მიღებული შედეგების და ანალიზის დოკუმენტირება, რაც საშუალებას მისცემს მას შეაფასოს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტურობა და უზრუნველყოს დროული რეაგირება.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დარაჯების ხელშეკრულებები;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების თაობაზე;

- სკოლის მიმართვა სსიპ საგანგებოს სიტუაციების მართვის სამსახურთან
- სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ექიმის ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- დამლაგებლების ხელშეკრულებები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ფსიქოლოგის პორტფოლიო;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შიდა წესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის და ფუნქციების განსაზღვრის ბრძანებები;
- მშობელთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული 8634 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა ნაგებობით, სკოლის არსებობის ვადით. სკოლის შენობა არის ორ სართულიანი. ორივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები (სულ 23 საკლასო ოთახი), სპორტული დარბაზი (გასახდელებით და ინვენტარის სათავსოთი), კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ოთახები (ამჟამად გამოყენებულია საკლასო ოთახებად), სამედიცინო კაბინეტი, სასადილო, სამასწავლებლო, დირექციის და ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა, დამხმარე სათავსები. სკოლას აქვს ეზო, სადაც მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ოთხებში განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, ქიმიის ოთახი აღჭურვილია წყლის ნიჟარებით.

საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, მონიტორეიბით, პროექტორებითა და პრინტერებით.ია 5 მონიტორით, 3 პრინტერითა და 9 პროექტორით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში ხორციელდება აქტივობები, პროექტები, რომლის დროსაც გამოიყენება სასკოლო მატერიალური რესურსები და სივრცეები. სკოლას განსაზღვრული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის მოკლე ინსტრუქცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მათთვის დირექტორთან შეთანხმებით ხელმისაწვდომია სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია არასასწავლო დღეებშიც.

მოსწავლეები სასკოლო რესურსებით სარგებლობისას მიმართავენ კლასების დამრიგებლებს, ბიბლიოთეკარს, საინფორმაციო მენეჯერს, დირექციის წევრებს.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>შეიმუშაოს სკოლის რესურსებით სარგებლობის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული რესურსებით სარგებლობის პირობები, მოვალეობები, სარგებლობის განრიგი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები (მაგ: სპორტული მოედნით, სპორტული დარბაზით, კომპიუტერული ტექნიკით თავისუფალ დროს სარგებლობის პირობები, უსაფრთხოდ სარგებლობის წესები, უფლებები-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები).</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელსაც მართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები დანომრილია, ბეჭედდარტმულია და აღრიცხულია სპეციალურ სრეგისტრაციო ჟურნალში. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცეც. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკის დებულება არეგულირებს ბიბლიოთეკარის მოვალეობებს, რომლითაც უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისის ხელმისაწვდომობა.

სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული საკითხავი ლიტერატურა მწირია, თუმცა მოსწავლეები სარგებლობენ ახლოს მდებარე ქალაქის ბიბლიოთეკით.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>სკოლის ბიბლიოთეკა გაამდიდროს საკითხავი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის მოსწავლეებისთვის საინტერესო ლიტერატურის სკოლის შენობაში ხელმისაწვდომობა.</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. ასევე, სართულებზე გადასაადგილებლად მოწყობილია ლიფტი. სკოლაში ასევე მოწყობილია შშმ პირებისთვის ადაპტირებული საპირფარეშოები. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეუფერხებლად გადაადგილებას და სასკოლო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა და რეკრეაციული სივრცე ქმნიდეს შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. მოსწავლეები როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არასაგაკვეთილო დროს ახორციელებენ პროექტებს, აქტივობებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- საინვენტარო აღწერილობები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- კომპიუტერული ლაბირატორიით სარგებლობის მოკლე ინსტრუქცია;
- სკოლის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტები და აქტივობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება 57 ერთეული კომპიუტერი, საიდანაც 27 კომპიუტერი განკუთვნილია დირექციის და ადმინისტარციის წევრების, ასევე მასწავლებლების სამუშაოდ. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს გადაცემული აქვთ პერსონალური კომპიუტერები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. დაწყებითი კლასების მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტატული კომპიუტერებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება 5 მოიტორი, 9 მოძრავი პროექტორი დ 3 პრინტერი. ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტარციული და სასწავლო რპოცესის სრულყოფილად წარმართვას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს მოკლე ინსტრუქცია კომპიუტერებით სარგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინსტრუქცია ითვალისწინებს მცირე ინფორმაციას კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის შესახებ.

მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის სკოლის კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროცესში, ასევე კლასგარეშე აქტივობების, ინფორმაციის და ელექტრონული რესურსების გამოყენების მიზნით. დირექციასთან შეთანხმებით, მოსწავლეებს უფლება აქვთ შაბათ დღესაც ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ტექნიკით.
სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობისა და მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს უფრო დეტალური შიდა რეგულაცია და დაარეგულიროს ტექნიკით სარგებლობის პირობები (სარგებლობის მიზნების, უსაფრთხოების ზომების, მოსარგებლის უფლებებისა და მოვალეობების, პასუხისმგებლობის ფორმების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მითითებით).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობები;
- კომპიუტერებით სარგებლობის მოკლე ინსტრუქცია;
- კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით განხორციელებული აქტივობები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესები, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის საქმისმწარმოებელი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს აღნიშნული წესით. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში წარმოებული დოკუმენტაციის შედგენის, აღრიცხვის, განცხადების მიღების და მასზე რეაგირების, დოკუმენტების რეგისტარციის, ადრესატისთვის გადაცემის წესებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დოკუმენტაცია

დაცულია სკოლის კანცელარიაში, შესაბამის ბაინდერებში. სკოლა აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს, რომლებიც დანომრილი, აკინძული, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია. საქმისწარმოების პროცესის შემოწმებისას დადგინდა, რომ საქმისწარმოება ხორციელდება დადგენილი შიდა რეგულაციების შესაბამისად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას, როგორიცაა eflow, როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს ელექტრონულ ფოსტას, შესყიდვების ელექტრონულ სისტემას, ელექტრონულ ჟურნალსა და eschool.emis.ge-ს მონაცემეთა ბაზების სისტემას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

Eschool.emis.ge-ს ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ სკოლას სრულყოფილად აქვს ასახულია ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, როგორც სკოლის ბარათზე, ასევე თითოეულ ველში, კერძოდ, სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, ცხრილი, საათობრივი დატვირთვა, არჩეული სახელმძღვანელოები, ტრანსპორტირების შესახებ და სხვა ინფორმაცია, რა გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №08/ნ ბრძანებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს და სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა უწყებებს, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განხორციელებაზე ითხოვს თანხმობებს და წარადგენს ანგარიშებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული სისტემები (eflow, eschool, procurement.gov.ge, ელ. ჟურნალი, ელ.ფოსტა);
- კორესპოდენციები სხვადასხვა უწყებებთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ასრულებს დაინტერესებული პირების საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის შესახებ ძირითადი და საკონტაქტო ინფორმაცია, მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომელიც ასრულებს როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის შიდა წესი, რომლითაც დაარეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, ვის მიერ და რა პროცედურით ხორციელდება სწორი და დროული ინფორმაციის განთავსება, ვინ არის ინფორმაციის სადნოობაზე პასუხისმგებელი პირი, ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.</u>
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რაც აღნიშნული სკოლისთვის არარელევანტური.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან მიღებული ინფორმაცია თავს იყრის დირექციასთან, რომელსაც განიხილავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საჭიროების შემთხვევაში სხვა ჩართული პირები, რის შემდეგაც ხდება სათანადო რეაგირება.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ -გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია, რომელთა ნაწილიც მოცემულია ნარატიული სახით, ხოლო ნაწილი გაწერილია ვებ-გვერდზე განთავსებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

კოლას გააჩნია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები. მისი ძირითადი ნაწილი ვაუჩერული დაფინანსებიდან მოდის. ასევე, სკოლა იღებს დანამატებს მასწავლებლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა სტატუსის შესაბამისადაა განსაზღვრული სქემით, და სარგებლობს მიზნობრივი

პროგრამული დაფინანსებით, მაგალითად, ექიმის კაბინეტის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტის თანხები ძირითადად იხარჯება თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებსა და საოფისე საჭიროებებზე.

სკოლა დამატებით იღებს შემოსავალს ეკონომიკური საქმიანობიდან, კერძოდ, საიჯარო ხელშეკრულებებით მიღებული თანხებით.

ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აქტივობები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არსებული ფინანსური რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში კი, სკოლა დამატებით ფინანსურ დახმარებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ყოველწლიურად, დეკემბერში ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს. შესყიდვების განხორციელების წესის თანახმად, ადგენს შესყიდვების წლიურ გეგმას, რომელიც არაუგვიანეს 20 ნოემბრისა რეგისტრირდება შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.

ფინანსური რესურსების მართვის პროცესში გათვალისწინებულია ანგარიშვალდებულება სამეურვეო საბჭოს წინაშე – ყოველი წლის 10 დეკემბრამდე. ასევე, სკოლა ანგარიშვალდებულია შესყიდვების სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში, წლის განმავლობაში შესაძლებელია განხორციელდეს ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში კორექტივების შეტანა, შესაბამისი წესის დაცვით მათი ხელახალი დამტკიცების გზით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების წლიური გეგმა;
- ფინანსური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს არაერთი შიდა რეგულაცია (სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის, ინიციატივების მხარდაჭერის, ჩარიცხვა-ამორიცხვი, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესები, გასაჩივრების მექანიზმები, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა), რომლებიც ემსახურება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული დებულებები გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებს და გამოყენების წესს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც ეფუძნება კანონმდებლობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და განხორციელებული აქტივობები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას, არის მკაფიო და გასაგები ენით დაწერილი. აღნიშნული დასტურდება რეგულაციების შინაარსით. აღნიშნული რეგულაციები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, კერძოდ, რეგულაციების ნაწილი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ნაწილი ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.
მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათ იციან თავიანთი უფლებების შესახებ, რასაც აცნობს დამრიგებელი. ასევე, იციან საჭიროების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ და მოიძინონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. სასკოლო რეგულაციების გაზიარება ხორციელდება მშობელთა კრებებზეც.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებელი ხელშეკრულები, საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე, რომელშიც გაწერილია როგორც დაწესებულების, ასევე მოსწავლის/მშობლის ვალდებულებები და უფლებები. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და არის მარტივი და გასაგები ენით ფორმულირებული.
<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შიდა სასკოლო რეგულაციები;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, დამტკიცებული აქვს შიდა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცესს. ეს რეგულაცია დეტალურად აღწერს პირველ კლასში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცესს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის პირობებს, ასევე ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნებს, კლასის დაძლევის პირობებს. დოკუმენტში, ასევე, გაწერილია მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესები. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ექპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ასევე კლასის/საფეხურის დაძლევის მექანიზმების დაცვა. აღნიშნულ საკითხებზე სკოლის მიერ გაცემული ბრძანებების ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლა აღნიშნულ პროცესებს სრულად აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმებამ დაადასტურა, რომ სკოლა იცავს ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების დადგენილ წესებს. ინტერვიუს შედეგად დადასტირდა, რომ მასწავლებლები იცნობენ აღნიშნულ ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ასევე კლასის/საფეხურის დაძლევის მექანიზმებს და ინფორმაციას აწვდიან მშობლებს.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა თაობაზე ინფორმაციას, სკოლის შინაგანაწესს და სკოლის საქმიანობის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, სკოლა დამრიგებლების მეშვეობით აწვდის მშობლებს. ასევე, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას. სკოლის კლუბების (ეკო-კულუბი და მხარეთმცოდნეობის კლუბი) შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს შეხედრების ორგანიზების გზით, ასევე დოციალურ ქსელში. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელთა შესახებაც სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუს შედეგად.

სკოლის ბაზაზე არ ფუნქციონირებს წრეები დამატებითი მომსახურების სახით, რადგან მშობელთა გამოკითხვით სკოლამ დაადგინა, რომ ისინი უკვე სარგებლობენ დუშეთის რაიონში არსებული უფასო სპორტული თუ სახელოვნებო მიმართულებით

არსებული წრეებით. შესაბამისად, სკოლაში დამატებითი წრეებისადმი მოთხოვნა არ არის. აღნიშნული განხორციელებული ინტერვიუს დროს დაადასტურეს მშობლებმა და ბავშვებმაც.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია და შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასის დაძლევის ბრძანებები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს, იქნება ეს პირველკლასელების მიღების, სხვა სკოლიდან გადმოსული ახალი მოსწავლის შემთხვევა თუ კონკრეტულ კლასებში სწავლისას გამოვლენილი ადაპტაციის პრობლემა. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომლის მიხედვითაც სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსულ მოსწავლეთა ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მექანიზმებს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლადაც, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. რეგულაციებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებიც.

სკოლას პრაქტიკაშიც აქვს დანერგილი მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები, რომელიც სკოლის პედაგოგთა ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას შესაბამისი გარემოს მოწყობით. სკოლა აღჭურვილია ასაკის შესაბამისი უახლესი ავეჯით. საკლაო ოთახში მოწყობილია მყუდრო და ლამაზი გარემო. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. სსსმ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციისთვის რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სკოლაში პირველკლასელებისთვის იმართება მისაღები ღონისძიება, მამოტივირებელი აქტივობები, ექსკურსიები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალი მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კონსულტაციებს საჭიროების შემთხვევაში. სკოლას აქვს ექსტერნატის ფორმატით გამოცდების ჩატარების პრაქტიკა, რა დროსაც გამოცდების წინ მოსწავლეებთან ხორციელდება საკონსულტაციო მუშაობა. დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდას. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ მათ არაერთხელ უსარგებლიათ ამ შესაძლებლობით. ინტერვიუს დრო მშობლებმა გაიხსენეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსწავლეს დასჭირდა დამატებითი მეცადინეობები გაკვეთილების შემდეგ და მასწავლებლებმა გაუწიოს დახმარება. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს რემედიაციის პროგრამას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ სწავლაში ჩამორჩენა და სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ არიან.
<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობისა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობას. არსებული სირთულეების,

საჭიროებების და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა მხარდასაჭერ შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.
დაწესებულებაში დადგენილ ვადებში ხორციელდება გამოცდების ჩატარება, მოსწავლეთა კონსულტირება, განცხადებაზე რეაგირება და მოსწავლეთა უფლებების რეალიზება.
<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ასევევ მოსწავლეების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითთმამრთველობა, რომელიც არის სხვადასხვა სოციალური პროექტისა და აქტივობის ინიციატორი. აღნიშნულში მათ ეხმარებიან სკოლის კვალიფიკციური მასწავლებელბი. სკოლაში ფუნქციონირებს ორი კლუბი ,,ეკო კლუბი'' და ,,მხარეთმცოდნეობის კლუბი'', რომლებსაც ხელმძღვანელობენ კვალიფიციური მასწავლებლები. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტებით, ასევე რაიონული მასშტაბით გამართულ პროექტებში წარმატებული მონაწილეობით. 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეები მონაწილეობდნენ საბუნებისმეტყველო მიმართულებით ,,Stem-ის" პროექტში, ასევე მონაწილეობა მიიღეს პროექტების კონკურსში ,,ჩემი ბაღი, სკოლა და ქალაქი", რომელშიც რაიონის მასშტაბით დიდი მოწონება დაიმსახურეს და პირველი ეტაპი წარმატებით გადალახეს. აღნიშნულ პროექტში მოსწავლეებმა დაამზადეს მათი თვალით დანახული მომავლის სკოლის მაკეტი, რომელიც გამოირჩეოდა თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ორიგინალური არქიტექტურული გადაწყვეტილებებით. პირველი ეტაპის გადალახვის შემდგომ მათ დიდი მონდომებით დაიწყეს მზადება მეორე ეტაპისთვის, რომელიც 2025-2026 სასწავლო წელს ჩატარდება.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა გამოთქვამს ღიაობას ყველა დაინტერებული პირისგან მიიღოს უკუკავშირი და მოახდინოს მასზე რეაგირება. სკოლა ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვებს, როგორც მოსწავლეების ასევე მშობელთა მხრიდან მათი კმაყოფილებისა და დამატებითი საჭიროებებისა თუ სურვილების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა მშობლებისა და სკოლის მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, რომლის უკუკავშირისა და ანალიზის შედეგად, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- ექსტერნის გამოცდის და კონსულტირების მასალები;
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საათები. ასეევე, სკოლამ წარმოადგინა "პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა". სკოლა მოსწავლეებისთვის

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციას ფორმალური აქტივობების სახით სთავაზობს პროფესიულ სასწავლებლებში ვიზიტს და დაინტერესებას. სკოლაში გაკვეთილები მიმდინარეობს სხვადსხვა ფორმატით, აქვთ გასვლითი საგაკვეთილო ფორმატიც, პროექტული სწავლება, იგეგმება მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა პროფესიების არსებობის შესახებ. გასულ სასწავლო წელს სკოლაში მოწვეულ იქნა სხვადასხვა პროფესიების მქონე ადამიანები, რომლებთანაც მოსწავლეებმა გამართეს დისკუსიები. გარდა ამისა, ასევე მოსწავლეები იმყოფებოდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში ექსკურსიაზე (საქართველოს პარლამენტში, პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურში). ასევე, მოხდა პროფესიების მოსინჯვა პროფესიულ სასწავლებელში.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ რამდენიმე დღიან კონკრეტულ პროგრამებზე ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით.

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები ასევე ადასტურებს, რომ სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მშობლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების საკითხებზე.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სასკოლო საზოგადოებასთან ინერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის გაუმჯობესებაზე და ზრუნავს შეფასებისა და უკუკავშირის საფუძველზე, სკოლაში მიმდინარე პროცესები უკეთ წარიმართოს. უკუკავშირი ხშირად ხორციელდება ზეპირი სახით ინფორმაციის გადაცემით ან მასწავლებლების დაკვირვების შედეგად.
<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> <u>პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა და შედეგების ანალიზის დოკუმენტირება. ასევე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.</u>

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პროფორიენტაციის გეგმა;
- შიდა აქტივობებისა და სასწავლებლებში ვიზიტების ამსახველი მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ინკლუზიური განათლების მიწოდები პრინციპები სკოლას ასახულია აქვს სასკოლო სასწავლო გეგმასა და ინკლუზიური განათლების დებულებაში. სკოლაში ირიცხება 9 სსსმ მოსწავლე, რომლებისთვისაც მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო

გეგმები. ისგ ჯგუფები იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ფსიქოლოგი და 2 სსსმ პრისი ასისტენტი. სკოლას აქვს რესურს ოთახი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახის მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით და სხვა.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს სსსმ მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებასა და თვითრეგულირებად დისციპლინისაზე. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. მოსწავლეების მშობლები ინტერვიუირების პროცესში ადასტურებენ, რომ სკოლის თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი დამოკიდებულება, დადებითად აისახება მათი შვილების განვითარებაზე ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს.

ისგ ჯგუფში შედიან კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თითოეული საგნის მასწავლებელი, რომელშიც მოსწავლეს ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სსსმ პირის ასისტენტი). ისგ ჯგუფს კოორდინირებას უწევს კლასის დამრიგებელი. ისგ ჯგუფის მუშაობს კოლეგიურობისა და გუნდურობის პრინციპით. მშობლები ჩართულები არიან ისგ ჯგუფის მუშაობაში.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების დებულება;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო;
- ფსიქოლოგის პორტფოლიო;
- სსსმ მოსწავლეების პირადი საქმეები;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- რესურს-ოთახის სამუშაო განრიგი;
- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ ჯგუფების სხდომების ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს სასკოლო ბუფეტის სახით, მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მოჯარესთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე სკოლას მოპოვებული აქვს თანხმობები შესაბამისი უწყებებიდან, სამეურვეო საბჭოსგან. სასკოლო კების ობიექტის ინსპექტირებას ახორციელებს სკოლაში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების“, პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: საკვებით მომსახურებისთვის ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია სკოლას წარუდგინოს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები. აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს სკოლაში საკვებით მომსახურებას, კვების ობიექტზე საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში ვალდებულია უზრუნველყოს სააგენტოს მოწვევა ინსპექტირების განსახორციელებლად და იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიერ გაიცა მითითებები, სააგენტოს ინსპექტირების აქტით განსაზღვრულ ვადებში ასრულებს მათ“. *მონიტორინგის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა მოიჯარის ინსპექტირების აქტები.*

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების მომსახურებასაც, რომელიც დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტსა და და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. *თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მიმდინარე წელს მოქმედი ხელშეკრულება, წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 14 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც იყო განსაზღვრული 1 წლით.*

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ:

- **სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სკოლის კვების ობიექტის ინსპექტირების აქტები;**

- **სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მიმწოდებელ კომპანიას შორის 2024 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული და მოქმედი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას ტრანსპორტირების სერვისის განხორციელებისას და მიმწოდებლის პასუხისმგებლობას.**

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

კვებისა და ტრანსპორტირების სერვისის მიღება ნებაყოფილობითია. სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში გადაცემის საკითხი შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. მომსახურების მიზანი არის მოსწავლისათვის შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისის შესაბამისი პირობების შექმნა და ემსახურება მოსწავლის განვითარებას.

<u>ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მიმიდნარე სასწავლო წელს, სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებას, რომელიც არ საჭიროებს მარეგულირებლის თანხმობას. სკოლის მიერ შეთავაზებული კვების და და ტრანსპორტირების მომსახურებების გაწევის შესახებ ინფორმაცია კი აღწერილი და შეფასებულია 4.2.4.1 ინდიკატორში.

<u>მიმდინარე მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ინდიკატორი ვერ ფასდება.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კვების ობიექტის იჯარის ხელშეკრულება;
- იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე სამეურვეო საბჭოს ოქმი და მარეგულირებელთან შეთანხმების წერილები;
- სასკოლო ბუფეტის ინსპექტირების ჯგუფის შექმნის ბრძანება და ინსპექტირების აქტი;
- ტრანსპორტირების ხელშეკრულება;
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების აქტები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი: 31.10.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: